

**"ალისა აქ უკვე აღარ ცხოვრობს",
ანუ ლიბერალური ეკონომიკის ქართული სინამდვილე**

"სახელმწიფოს ფუნქციაა - დაიცვას კონკურენცია"

მილტონ ფრიდმანი

აქა ამბავი ზღაპრისა და სინამდვილისა

ნოვალისმა თავისი რომანის "ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი"-ს დასრულება ვერ მოასწრო. გადმოცემით, მთავარი გმირის ჰაინრიხის უკანასკნელი ქმედება მისი ფერიცვალება იქნებოდა, რითაც მოისპობოდა ზღვარი ზღაპრსა და სინამდვილეს შორის, ანუ გმირი ზღაპრიდან რეალობაში გადმოინაცვლებდა.

რომანი მაინც მხატვრული ლიტერატურაა, რომელსაც ევროპულ ენებში "ფიქშენ"-ს (Fiction) ეძახიან და რაც მოასწრო მწერალმა ისიც მშვენიერია, მიუხედავად იმისა, დასცალდა თუ არა ამბის ზღაპრიდან სინამდვილეში გადმოტანა. მაგრამ, ერთია დაწერილი ზღაპარი, რომელიც როგორც "ფიქშენ" შეიძლება წაიკითხო ან არ წაიკითხო, ან წაიკითხვის შემდეგ გამოხვიდე ზღაპრიდან რეალობაში და მეორეა სახელმწიფოს მიერ გაცხადებული "ეკონომიკური თავისუფლების აქტი", რომელიც ზღაპარივით არ იწერება და არც "ფიქშენ" ჰქვია.

"ეკონომიკური თავისუფლების აქტი"-ს მიხედვით "ბიუჯეტის სახსრები უნდა იქნენ გამოყენებული ისე, რომ მოქალაქეებს მისცენ საშუალება, სადაც შესაძლებელია, თავად გააკეთონ არჩევანი, და არ იქნან მიმართული მომსახურების სახელმწიფო მიმწოდებლის პირდაპირი დაფინანსებისათვის. ანუ, დავაფინანსოთ არა ინსტიტუტები და ორგანიზაციები, სადაც პაციენტი იძულებული იქნება არჩევანის

გარეშე მივიდეს, არამედ დავაფინანსოთ ადამიანები, ვისაც ეს დაფინანსება ეკუთვნის და ყველაზე მეტად სჭირდება და მათ დავუტოვოთ არჩევანის დაფინანსება. ხოლო ინსტიტუტები დაფინანსდებიან ამ ადამიანების არჩევანის მოგებით.“

მხოლოდ ამ აზრით სიტყვა არჩევანი "ოთხჯერაა" ნახსენები. ცხადია, სრულიად სამართლიანად, რადგან საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი პრინციპია არჩევანის თავისუფლება, რომელზედაცაა დამოკიდებული კონკურენცია და შესაბამისად ხარისხი.

აქა ამბავი ქართველთა მიერ ახალი მიმდინარეობის "არაკონკურენტული ლიბერალიზმის" გამოგონებისა.

"ეკონომიკური თავისუფლების აქტის" გამოცხადებიდან არ გასულა სულ რაღაც 4 თვე და ჯანდაცვის სისტემაში რეფორმის ახალი ეტაპი დაიწყო. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N 85 დადგენილების საფუძველზე რაიონები კონკრეტულ სადაზღვევო კომპანიებს შორის გადანაწილდა, ანუ ერთ რაიონში სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულ მოსახლეობას სადაზღვევო მომსახურებას მხოლოდ ერთი სადაზღვევო კომპანია გაუწევს. საკითხავია, სად გაქრა არჩევანის თავისუფლება? ანუ, რამდენად შეესაბამება მთავრობის გადაწყვეტილება "ეკონომიკური თავისუფლების აქტს", რომლის უმთავრეს პრინციპად ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლება წარმოადგენს.

ქართველების გამომგონებლობით ნიჭს საზღვარი არ აქვს. კაცობრიობას სიახლე შევძინეთ – არაკონკურენტული ლიბერალური ეკონომიკის სახით, სადაც ადამიანს არ აქვს არჩევანის თავისუფლება. ამაზე დღეს რატომღაც არ ლაპარაკობენ. არც იმაზე ლაპარაკობენ, თუ რა შედეგები ექნება სადაზღვევო სისტემის დარაიონებას. გერმანიაში ასეთ სისტემას "ლენდურს" უწოდებენ, რომელიც თავად გერმანიამ უარყო რამდენიმე წლის წინ როგორც კონკურენტული გარემოს ხელშემშლელი.

"აქა ამბავი ემბაკების დეტალებში "სრიალისა"

ემბაკი, როგორც ცნობილია, დეტალებშია. დეტალებში ჩახედვა კი ძალიან არ უყვარს მითოლოგიზირებულ სისტემას, რადგან დეტალებით ცნობისმოყვარეობა პანდორას ყუთის გახსნას ჰგავს, საიდანაც შესაძლოა ემბაკებივით ამოფრინდეს ყველანაირი სიავე და ბოროტება, და უბედურების წყაროც კი გახდეს. ამიტომაც მოსწონთ და ფართოდაა მიღებული ჩვენში ზედაპირზე “სრიალი” (კახა ბენდუქიძის ტერმინს მოვიშველიებთ), მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება დისკურსების და ღრმა ანალიზის გარეშე.

დეტალები კი ასეთია: ჯანდაცვის სექტორში აღნიშნული ცვლილებით უქმდება ის სტრუქტურული რეფორმები, რაც ლიბერალიზაციის დროშით ამ სფეროში ბოლო წლებში მიმდინარეობდა. პოსტრევოლუციური წლების განმავლობაში ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავდა დარგში საბაზრო რეგულატორების განვითარებას, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და ხელშეწყობას. რეფორმამდე საქართველოს მოქალაქეებს უფლება არ ჰქონდათ აერჩიათ მათთვის სასურველი სადაზღვევო კომპანია. ჯანდაცვის დაფინანსებას ახორციელებდა მხოლოდ ერთ სახელმწიფო ფონდი. 2007 წელს დაწყებული რეფორმების შედეგად მზღვეველის სახით მოქმედებს მრავალი სადაზღვევო ორგანიზაცია და დაზღვეულს შეეძლო არჩევანი გაეკეთებინა სადაზღვევო კომპანიებს შორის. ამ კუთხით საქართველო ეხმიანებოდა მსოფლიოში სადაზღვევო სფეროში არსებულ ყველაზე პროგრესულ მიმართულებას, რისი განხორციელებაც ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამაც კი ვერ გაბედა.

2010 წლის მარტის თვიდან გაქრა კომპანიებს შორის კონკურენცია, სადაზღვევო კომპანიები ერთპიროვნულ მონოპოლიებად იქცნენ შესაბამის რაიონში. მარტივია მტკიცება, რომ სადაც კონკურენცია არაა იქ არაფერი ესაქმება ლიბერალურ ეკონომიკას. ამ ცვლილებით სადაზღვევო სისტემა ისევ დაუბრუნდა იმ ფორმას,

რომლის მიუღებლობაც გარკვეულწილად საფუძვლად დაედო თავის დროზე მონოპოლისტური სადაზღვევო სისტემის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას.

ახალი გეგმა ითვალისწინებს სადაზღვევო კომპანიების მიერ 26 ე.წ. სამედიცინო რაიონში განსაზღვრული სიმძლავრისა და თანამედროვე დონის საავადმყოფოების შექმას. ეს ნიშნავს რომ დაზღვეულს არამარტო სადაზღვევო კომპანიის არჩევის უფლება ერთმევა, არამედ არანაკლებ უმთავრესი უფლება – თავად აირჩიოს სამედიცინო დაწესებულება, ვინაიდან ასეთ პირობებში პაციენტი იძულებული ხდება შემოიფარგლოს მხოლოდ მის რაიონში მოქმედი სადაზღვევო კომპანიის, მისი კლინიკის და სამედიცინო პერსონალის მიერ შეთავაზებული მომსახურებითა და პირობებით. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ირღვევა „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლები.

ნახ. საქართველოს სადაზღვევო რაიონები, 2010 წ.



ზოგმა ექსპერტმა შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს და განაცხადოს: მართული ჯანდაცვის ფორმებს პრეცედენტი აქვს მსოფლიოში და არაფერია აქ მიუღებელი. ასეთი პასუხიც დეტალების იგნორირებაა და ისევ ზედაპირზე "სრიალი", რადგან იქ, სადაც მართული ჯანდაცვის ფორმები არსებობს, ბენეფიციარებს აქვთ ამ ორგანიზაციების არჩევის უფლება, რითაც იქმნება კონკურენტული გარემო. რაც ჩვენში რაიონებად გადანაწილებული სადაზღვევო სისტემის დროს სრულიად გამორიცხულია.

აქა ამბავი არჩარევის თუ ჩარევისა, ანუ მართლა ერევა თუ არა სახელმწიფო ბაზარზე?

"ეკონომიკური თავისუფლების აქტში"-ს მიხედვით სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიოს ბაზარს. მისაღები განაცხადია, რადგან რაც უფრო მინიმალურია ჩარევა მით უფრო ვითარდება ბაზარი. მაგრამ როდესაც კონკურენტულ სადაზღვევო სისტემას ერთი ხელის მოსმით გადააქცევ არაკონკურენტულად, ხოლო სადაზღვევო პროგრამაში მონაწილეობის პირობად სადაზღვევოების მიერ საავადმყოფოების აშენებას დააყენებ, შეიძლება თუ არა ვიფიქროთ რომ სახეზეა სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევის აშკარა მცდელობა.

პიროვნების პასუხისმგებლობის და სახელმწიფოს მხრიდან სწორი ჩარევების კარგი მაგალითია ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ქვეყნის სინგაპურის ჯანდაცვის სისტემა, რომელიც ეფექტურ სისტემადაა მიჩნეული მსოფლიოში. მისი ეფექტურობა შედეგია იმ ჭეშმარიტი ლიბერალური მიდგომებისა რასაც ქვეყანა თანმიმდევრულად ადგას ორი ათეულ წელზე მეტია.

ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგი მილტონ ფრიდმანი წერდა:“ჩვენ ვერ ავიცილებთ მთავრობისათვის გარკვეულ საკითხთა გადაცემას“ და ამ საკითხთაგან უპირველესად მიიჩნევდა “კონკურენციის დაცვას”. ქართველი ლიბერტარიანელები ამ საკითხშიც განუდგნენ ლიბერტარიანიზმის პრინციპებს. მათ არათუ დაიცვეს

კონკურენცია, პირიქით, გახადეს არაკონკურენტული, არაფერი რომ არ ვთქვათ სადაზღვევო ბაზარზე ფარმაცევტული კომპანიების შემოყვანაზე, რომელსაც ეკონომიკის ექსპერტები იუმორით “ბერმუდის სამკუთხედსაც” უწოდებენ – ფარმაციის, საავადმყოფოს და დაზღვევის ერთ ქუდს ქვეშ გაერთიანებამ ბერმუდის სამკუთხედივით საერთოდ ჩაყლაპა კონკურენცია.

აქა ამბავი ჯუნგლებისა და ორსახოვანი იანუსისა

ჯუნგლები არ ავითარებენ თავისუფალ ბაზარს, რადგან თავად ჯუნგლები ქმნიან კალაპოტებს თავისუფალი დინების საწინააღმდეგოდ. თავისუფალი განვითარება ბუნებრივი დინების დაცვაშია ჯუნგლური ბელადებისგან. დაცვა კი სრულებით არ ნიშნავს ციკლოპური თვალით თვალთვალს, არამედ ჯუნგლური კალაპოტების მოშლას და სწორ დინებას ზღვისაკენ.

სამედიცინო დაზღვევის სფეროში მიმდინარე რეფორმები სულ უფრო ემსგავსება ორსახოვან იანუსს, რომელსაც ერთი შეხედვით პროგრესული მიზნები აქვს, მაგრამ მეორე მხრივ სახეზეა საპირისპირო შედეგი არაკონკურენტული სისტემის შექმნის სახით. ყველაზე მეტად სამწუხარო და დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ ასეთი სისტემა განაპირობებს შეუქცევად პროცესებს, რითაც სამუდამოდ დასამარდება ლიბერალური მიდგომები და კონკურენტული საბაზრო მექანიზმები ჯანდაცვაში, რადგან სადაზღვევო კომპანიის მიერ აშენებულ საავადმყოფოს უკან ვეღარ ჩამოართმევ. თუ შეიცვალა მიდგომა, ვერც სხვა კომპანიას ააშენებინებ მეორე ჰოსპიტალს და არცაა საჭირო ორი საავადმყოფო ერთ რაიონში.

ზოგი ექსპერტი თვლის, რომ დღეისათვის უმთავრესია თანამედროვე დონის საავადმყოფოს აშენება. საფიქრალია, რამდენად უღირს ქვეყანას კონკურენტული საბაზრო პრინციპების გაცვლა საავადმყოფოს პრიორიტეტზე. ფაქტიურად ლიბერალური პრინციპები მსხვერპლად შეეწირა ჰოსპიტალს. აქ დავეთანხმები პროფ. გიგა ზედანიას წერილის, “სურამის ციხის ინტერპრეტაციისათვის”, მთავარ აზრს,

სადაც ერის კონსოლიდაციას უაზროდ ეწირება ნაწარმოების გმირი. არადა არც იყო საჭირო!

წერილის დასაწყისში ნახსენები ნოვალისისა არ იყოს, ზღაპრიდან რეალობაზე გადასვლაზე ფიქრისას რატომღაც მარტინ სკორსეზეს ფილმი გამახსენდა - "ალისა აქ უკვე აღარ ცხოვრობს", როგორც რეალობაში გადმოტანილი ლუის კეროლის ზღაპარი - „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“.

თენგიზ ვერულავა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გაზეთი „რეზონანსი“. 2010. 25 ივნისი. - N165. გვ.8